

არქიმანდრიტი, პროფესორი ადამ ვახტანგ ახალაძე

ოჯახი როგორც საკაცობრიო ღირებულება ქრისტიანულ და  
პოსტმოდერნისტულ აზროვნებაში (ბიოეთიკური კონტექსტი)

1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ვკითხულობთ:

მუხლი 16.

1. სრულსაკოვნებას მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არავის შეუტანია ცვლილებანი ზემომოყვანილ ტექსტში. ის, რომ ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი უჯრედია, ახლაც აღიარებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ცდილობენ ამ ბუნებრიობის საზღვრების გაფართოებას, ანუ იმას, რომ ოჯახის ტრადიციული პარადიგმის საპირწონედ წარმოგვიდგინონ და შემდგომ დაამკვიდრონ კიდევ მოდერნისტული, სუროგატული, არაბუნებრივი, არატრადიციული, ზნეობრივად საეჭვო, ხშირად ანტიჰუმანისტური და დევიაციური პარადიგმა.

თანამედროვე რეალობამაც შეცვალა წარმოდგენები ოჯახზე. თავისი წესები შესთავაზა თანამედროვე ადამიანს ტრადიციული ღირებულებების იერარქიის რღვევამ, მენტალიტეტის ტრანსფორმაციამ, სექსუალურმა რევოლუციამ, აქსელერაციამ, ცხოვრების სოციალური და ეკონომიკური წესების შეცვლამ, გლობალიზაციამ და უნივერსალიზაციამ, მე-20 ს. ბოლოსა და 21-ე ს-ის დასაწყისის გეოპოლიტიკურმა ძვრებმა – მრავალპოლუსიანობა-ერთპოლუსიანობის ნიშნით, მეცნიერების როლის ტრანსფიგურაციამ .

ამაში თავისი წვლილი შეიტანა ბიომედიცინამ, რომელმაც თავის თავზე აიღო ადამიანის სიცოცხლისა და ცხოვრების მართვისა და კორეგირების არატრადიციული ფუნქციები.

თუმცა ოჯახის ამგვარი მეტაფორფოზაც არ იძლევა საფუძველს ვთქვათ, რომ თითქოს ჩამოყალიბდა ოჯახისადმი დამოკიდებულების ერთი თანამედროვე ტიპი – დღევანდელი შეხედულებანი ოჯახის დეფინიციის თაობაზე ერთობ მრავალფეროვანია და ნაირსახოვანი.

გამოყოფენ ტრადიციული და არატრადიციული ოჯახური თანაცხოვრების მრავალ სახეობას:

1. ბირთვული, ფუძე მონოგამიური ოჯახი – დედა, მამა და დამოკიდებული შვილ(ებ)ი (ძირითადად 18-წლამდე);
2. მარტოხელა მშობლით წარმოდგენილი ოჯახი (ბავშვ(ებ)ს ზრდის მხოლოდ ერთი მშობელი, უხშირესად – დედა, როდესაც ამას წინ არ უძლოდა ბირთვული ოჯახის არსებობა);
3. დიდი ოჯახი – ძირითად ოჯახში მცხოვრებ წევრებთან ერთად მასში შედიან ბებია, ბაბუა, ბიძა, დეიდა, მამიდა, ბიძაშვილები ან სხვა ადამიანები, რომლებიც ბირთვულ ოჯახში არ მოიაზრებოდნენ;
4. პოლიგამიური (პოლიგინიური და პოლიანდრიული) ოჯახი;
5. მამაკაცისა და ქალის თანაცხოვრება;
6. ჰომოსექსუალების თანაცხოვრება;
7. უცოლო და გაუთხოვარი ცხოვრება;
8. უშვილო ოჯახი (მეუღლეებიტაა წარმოდგენილი);
9. ოჯახი, სადაც შვილ(ებ)ი ნაშვილებია;
10. ოჯახი–კომუნა;
11. მეორე ქორწინებაში მყოფთა ოჯახები;
12. სვინგინგი და ჯგუფური ქორწინება;
13. გაფართოებული ოჯახი (შედგება რამდენიმე არამონათესავე ან რამდენიმე თაობის წყვილისაგან);
14. სხვადასხვა შერეული ტიპის ოჯახი და მისთ.

ამ პარაგრაფში განვიხილავთ თანამედროვე ოჯახის იმგვარ არატრადიციულ ვარიანტებს, რომელთა აღმოცენება, უპირველეს ყოვლისა, ბიოტექნოლოგიურმა რეპროდუქციულმა და გენურმა ტექნოლოგიებმა განაპირობეს, თუმცა მათ გაჩენაში თავისი წვლილი სხვა ბიოეთიკურმა და სულიერ–ზნეობრივმა პრობლემებმა და დილემებმაც შეიტანეს, რომელთა შორის უნდა ვიგულისხმოთ:

- ადამიანის, სიცოცხლისა და სხვა უმაღლესი ღირებულებების დევალვაცია,
- აბორტი,

- კონტრაცეფცია,
- ფეტალური თერაპია,
- დედის მუცლადმყოფი ბავშვის – ემბრიონისა და ნაყოფის – ონტოლოგიური ადამიანური, სოციალური და სამართლებრივი სტატუსის უგულვებელყოფა,
- მუცლადმყოფ ჩვილთა მოკვდინება პრენატალურ დიაგნოსტიკაზე დაყრდნობით,
- in vitro ემბრიონების გაწირვა სიკვდილისათვის პრემიპლანტაციური დიაგნოსტიკის საფუძველზე,
- ინვალდი და შეზღუდული შესაძლებლობის, ასევე სხვადასხვა თანდაყოლილი და მემკვიდრეობითი დაავადებების მქონე ჩვილ ბავშვთა მიტოვება დედ-მამის მიერ,
- ევგენიკური იდეოლოგია,
- მეცნიერული ეთიკის უკმარისობა,
- ოჯახის, როგორც ტრადიციული, ღვთაებრივი და ადამიანური ღირებულების გაუფასურება და ა. შ.

ჩვენი კვლევა ეძღვნება თანამედროვეობის ე. წ. სუროგატული ოჯახური პარადიგმის ფენომენს, რომელიც კაცობრიობას აყენებს მრავალი სამედიცინო, სულიერ-ზნეობრივი, სამართლებრივი, ბიოეთიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვა პრობლემის წინაშე.

“სუროგატული“ ოჯახი არა მარტო წარმოადგენს ბიოსამედიცინო ტექნოლოგიურ ინოვაციას, არამედ თავად ქმნის ტრადიციულის ნაცვლად ახალ სოციალურ და ეთიკურ რეალიას, რომელშიაც წარმოჩინდება მშობლებისა და შვილების ურთიერთმიმართებათა მეტამორფოზა – შეცვლილი როლები.

ახალ “სუროგატულ“ პარადიგმას ჩვენ ვუპირისპირებთ ტრადიციულ ოჯახურ პარადიგმას. ამ პარაგრაფში განვიხილავთ ორივე პარადიგმის ძირითად, კონცეპტუალურ შეხედულებებს.

**ტრადიციულ ოჯახურ პარადიგმაში ჩვენ მოვიაზრებთ ოჯახურ კეთილდღეობას უპირველეს ყოვლისა სულიერ-ზნეობრივ განზომილებაში. ეს კი მოიცავს დედის, მამის, შვილების (შვილის), აგრეთვე ოჯახის სხვა წევრების (ზეზის, პაპის, ბიძის, დეიდის, მამიდის...) ჰარმონიულ ყოფას (თანაცხოვრებას) სულიერისა და ზნეობრივის პრიმატის აღიარების მიკროსოციალურ გარემოში, ურთიერთსიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს ოჯახის წევრთა შორის, საოჯახო, სამოქალაქო, განათლების, საქმიანობის, სოციალური საკითხების გადაწყვეტას, საცხოვრებელი ადგილის არჩევას, თანასაკუთრებაში არსებული ქონების მართვასა და განკარგვას ღვთაებრივი, ადამიანური, ეროვნული და სხვა ტრადიციული ღირებულებების აღიარებისა და პატივისცემის პირობებში.**

ჩვენ შემოვიტანეთ ცნება “სუროგატული” ოჯახის შესახებაც, ანუ იმგვარი ოჯახის შესახებ, რომელშიაც შვილი ჩნდება არატრადიციული სუროგატული რეპროდუქციული ტექნოლოგიის დახმარებით, ან რომელსაც აქვს ამგვარ ტექნოლოგიაში მონაწილეობის სხვა გამოცდილება (ოჯახის წევრი ერთხელ ან მეტჯერ ყოფილა დაქირავებული “სუროგატ” დედად, ან აქვს სასქესო გამეტების დონაციის, ან სუროგაციის ცენტრებთან თანამშრომლობის სხვა გამოცდილება).

შეგახსენებთ ე. წ. “სუროგატული” დედობის ჩვენეულ დეფინიციასაც:

ე. წ. “სუროგატული” დედობა არის როგორც უშვილობის პრობლემის მქონე, ასევე ასეთი პრობლემების არმქონე ადამიანის (ტრადიციულ ან არატრადიციულ ქორწინებაში არმყოფი – უცოლო/გაუთხოვარი, განქორწინებული, ასევე ქვრივი მამაკაცის/ ქალის) ან ადამიანების (ცოლ-ქმრის, ჰეტეროსექსუალური ან ჰომოსექსუალური წყვილის) გენეტიკური შვილის ყოლის სურვილის დაკმაყოფილების გზა არატრადიციული რეპროდუქციული ბიოტექნოლოგიების გამოყენებით, რომელსაც საფუძვლად სიცოცხლის, დედობისა და ოჯახისადმი – როგორც უმაღლესი ადამიანური ღირებულებებისადმი – პრაგმატული და უტილიტარული დამოკიდებულება უდევს [Adam, archimandrite, 2011].

სუროგატული ოჯახის ზემოთ მოყვანილი ჩვენეული განსაზღვრებიდან გამომდინარე, უნდა გავარჩიოთ ამგვარი ოჯახის რამდენიმე ტიპი.

I ტიპი – სუროგაციას გენეტიკური შვილის ყოლის მიზნით მიმართავს უშვილო ოჯახი იმის გამო, რომ ქალის სტერილობას (უნაყოფობას) აქვს სამედიცინო მიზეზი, ანუ საქმე გვაქვს შვილის ყოლის უუნარობასთან შესაბამისი სამედიცინო ჩარევის გარეშე.

ჩვენი პოზიცია სუროგატული ტექნოლოგიის გამოყენების მიმართ ითვალისწინებს პრობლემის ყველა ასპექტს: კერძოდ, გათავისებული გვაქვს ოჯახის უნაყოფობის მთელი დრამატულობა.

ამიტომაც გვსურს შევახსენოთ “პროსუროგატულ” საზოგადოებას, რომ ოჯახური ბედნიერების საყრდენი, უპირველეს ყოვლისა, ქმარსა და ცოლს შორის არსებული სწორი ზნეობრივი ურთიერთობებია, რომელიც გულისხმობს ერთმანეთის სიყვარულს, ერთგულებას, პატივისცემას. მხოლოდ ამგვარი ცოლქმრული ურთიერთობა გამოიღებს ნაყოფს – შვილს – დედ-მამის ერთხორც, სულიერად და ზნეობრივად ჯანსაღ არსებას. დიახ, ეს ხდება მაშინ, როდესაც ერთი ზნეობრივი სული (ერთი მეუღლე) მიენდობა მეორეს მარადიული სიყვარულით, რათა ერთურთში ჰპოვონ ნუგეში, სიხარული, შველა, დახმარება, დასაყრდენი ამქვეყნიური ცხოვრების ურთულეს გზაზე. მართლმადიდებელი ეკლესია ქორწინებას მიაკუთვნებს უდიდეს საიდუმლოთა შვიდეულს. ამ საიდუმლოს აღსრულების შედეგად ცოლ-ქმარზე გადმოდის სულიწმიდის მადლი, რომელიც განწმენდს მათ კავშირს, ურთიერთობას, შვილის ჩასახვას, დაბადებას და ქრისტიანულ აღზრდას.

ამდენად ცოლქმრული ურთიერთობის საკრალურობის, საიდუმლოებრიობის, ინტიმურობის შებღალვა დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან იგი უცილობლად იწვევს დესტრუქციულ ცვლილებებს საზოგადოებაში, ერში, კაცობრიობაში. აკი ოჯახი საზოგადოების უჯრედია, ის მცირე სოციალური წარმონაქმნი, რომლის კეთილდღეობის გარეშე წარმოუდგენელია უფრო მასშტაბური სოციალური კეთილდღეობა.

არატრადიციული რეპროდუქციული ტექნოლოგიების პირობებში ხდება ცოლქმრულ კავშირში მესამე მხარის დაუდევარი შეჭრა ამ კავშირის მოწყვლადობის გაუთვალისწინებლად. რაც შეეხება სუროგატულ ტექნოლოგიას, აქ ამ შეჭრის დაუდევრობისა და მოწყვლადობის რეალიზაციის ხარისხი შეუდარებლად მაღალია.

მიუხედავად იმ მიზეზისა, რომლის გამოც ცოლ-ქმარმა მიმართა უნაყოფობის პრობლემის გადაწყვეტის სუროგაციულ გზას, საქმე გვაქვს ოჯახთან, რომელმაც უგულვებელყო ცოლქმრობის საიდუმლოებრიობა და ინტიმურობა, დედობისა და ოჯახის საკრალურობა, დაქირავებული ქალის – ე. წ. “სუროგატული“ დედის – გესტაციური კურიერის დედობრივი გრძნობები და ღრმა ფსიქოლოგიური პრობლემები, შვილის უფლებები და სულიერ-ზნეობრივი კრიზისის განვითარების რეალური შესაძლებლობა.

მრავალი სუროგატული ოჯახის მაგალითზე დღეს უკვე შესაძლებელია დავინახოთ, რომ ოჯახური ბედნიერება მიუღწეველი დარჩა, რადგან ოჯახის წევრებს (დედას, მამას, შვილ(ებ)ს), როგორც მოსალოდნელი იყო, გაუჩნდა არაერთი პირადი, სოციალური, ფსიქოლოგიური, სულიერი და სხვა პრობლემა.

**II ტიპი** – ცოლ-ქმარი მიმართავს სუროგაციულ გზას მიუხედავად იმისა, რომ ქალი უნაყოფო არ არის. მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა: კარიერა, უპასუხისმგებლობა მომავალი შვილის, საზოგადოების, ოჯახის, საკუთარი თავის როგორც დედის წინაშე, იდეოლოგიური და ზნეობრივი მოსაზრებანი, საკუთარ ჯანმრთელობაზე “ზრუნვა“ და ა. შ.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ნეგატიური ტენდენცია, რომელიც გასული საუკუნის ბოლო მესამედში ეპიდემიად მოედო “ცივილურ“ საზოგადოებას: დედები მშობიარობის შემდეგ უარს ამბობდნენ ახალშობილთა ძუძუთი კვებაზე. ბევრი ქალი გაურბის ბუნებრივი გზით მშობიარობას და ირჩევს საკეისრო კვეთას. ფართოდ გავრცელდა მშობიარობა გაუტკივარებით სამედიცინო ჩვენების გარეშე.

ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს დედობის სიწმიდის, შვილის წინაშე პასუხისმგებლობის, სიყვარულისათვის უმცირესი მსხვერპლის გაღების აუცილებლობის გაუაზრებლობასთან. ამას ხელს უწყობს არაკომპეტენტური სამედიცინო კონსულტაციები, როდესაც სუროგაციის ცენტრები მოტივირებულნი არიან რაც შეიძლება მეტი კლიენტი მიიზიდონ. ბიზნესად ქცეული სუროგაციული ტექნოლოგია არაფერს იშურებს რეკლამისათვის და მის კლანჭებში ხშირად

ცნობილი ადამიანები აღმოჩნდებიან ხოლმე, რაც გავლენას ახდენს საზოგადოების ცნობიერებაზე.

ცხადია, ობიექტური და სრულყოფილი ინფორმაცია სუროგაციული რეპროდუქციული მეთოდების შესახებ ადამიანებმა შესაძლებელია მიიღონ არა სუროგაციის ცენტრებსა და რეპროდუქციულ ინსტიტუტებში, არამედ პროფესიონალი კონსულტანტებისაგან, რომლებიც მათ გაარკვევენ სუროგაციის თანამდევ ყველა სოციალურ, ეთიკურ, სულიერ, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო პრობლემაში. ამის რეგულაცია კი კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს.

**III ტიპი** – გაუთხოვარი, ან განქორწინებული ან ქვრივი ქალი, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას, იყოლიოს შვილი, დღეს არჩევანის წინაშე დგება. სუროგაცია ამ სურვილის დაკმაყოფილების მხოლოდ ერთ–ერთი გზაა.

ცნობილია, რომ ერთმშობლიანი ოჯახები მეტი პრობლემის მატარებელია, როგორც არასრულფასოვანი მიკროსოციალური გარემო. მათ ხშირად დაბალი შემოსავალი აქვთ, მით უმეტეს, რომ ერთმშობლიანი ოჯახი ძირითადად აქვთ ქალებს (დედებს). ამგვარი ოჯახებიდან გამოსული ბავშვები ჩამორჩებიან ხოლმე თანატოლებს სწავლის დონით, არიან დეპრესიულები, აქვთ მიდრეკილება ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაკენ, სუიციდისაკენ, კრიმინალური აქტივობისკენ. აღმოჩენილია მომავალში განქორწინების შედარებით მაღალი რისკი. ამ პრობლემების ძირითადი მიზეზი შვილის მშობლებთან კონტაქტისა და ურთიერთობის დეფიციტია. მიგვაჩნია, რომ სუროგაცია თავისი ნეგატივიზმით მხოლოდ გააძლიერებს ამ პრობლემებს.

**IV ტიპი** – უცოლო, ან განქორწინებული ან ქვრივი მამაკაცის მიერ სუროგაციული შვილის აყვანის შემთხვევა კიდევ უფრო მეტადაა გაჯერებული პრობლემებით. “სუროგატული მამობა“ მიზეზია იმისა, რომ საკანონმდებლო გაურკვეველობის პირობებში ბავშვის დაბადების მოწმობაში გრაფა “დედა“ უბრალოდ შეუვსებელი რჩება, რაც დედობის, როგორც ერთ–ერთი უმაღლესი საკაცობრიო ღირებულების დევალვაციას პირდაპირ უწყობს ხელს. ამგვარ ოჯახში დაბადებული ბავშვი არა მარტო დედის სითბოსა და მზრუნველობასაა მოკლებული, არამედ თავიდანვე განწირული მარტოხელა მამისეული ოჯახისათვის დამახასიათებელი ყველა კრიზისული სიტუაციისათვის.

**V ტიპი** – სუროგაცია იქცა გზად, ბავშვი დაიბადოს ერთსქესიანი წყვილის თანაცხოვრების პირობებშიც. ბევრ ქვეყანაში, სამწუხაროდ, ლეგალიზდა ერთსქესიანი “ქორწინებები“. ამგვარმა საკანონმდებლო აღიარებამ და სოციალურმა დაცვამ მოამზადა საფუძველი სუროგატული შვილის აყვანისა და შვილობილობისთვისაც. გამარტივდა ქონების მემკვიდრეობით გადაცემის საკითხიც. ასეთ ჰომოსექსუალურ “ოჯახებში“ მოსალოდნელია მოზარდების არაჯანსაღი ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და სულიერი განვითარება, რაც ბავშვთა უფლებების აშკარა დარღვევაა. ცხადია, სოდომური ცოდვის სოციალური “რეაბილიტაციისა“ და დამკვიდრების მცდელობანი აბსოლუტურად მიუღებელია

ქრისტიანული მსოფლგაგებისათვის. ჯერ კიდევ მრავალი სახელმწიფო იკავებს თავს ამ ტიპის “ქორწინებების” აღიარებისაგან.

**VI ტიპი** – არის შემთხვევები, როდესაც პირველი ტიპის სუროგატულ ოჯახში “სუროგატული” დედის როლს ასრულებს უახლოესი ნათესავი – დიდი ოჯახის წევრი: დედის ან მამის და (მომავალი ბავშვის დეიდა ან მამიდა), დედა (მომავალი ბავშვის ბებია) ან სხვა ახლო ნათესავი. ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება ასახავდეს არაჯანსაღ (ხშირად ფარულ) ინტერპერსონალურ ურთიერთობებს ოჯახის წევრთა შორის. არც იმის წარმოდგენაა რთული, თუ როგორ ფსიქოლოგიურ კრიზისულ სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს სუროგატული შვილი (და მთელი ოჯახი!), როდესაც იგი შეიტყობს ამბავს “ორი დედის” შესახებ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ოჯახი ქორწინებისა და სისხლის ნათესაობის ნიადაგზე შექმნილი სოციალური სისტემაა – მცირე ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, ურთიერთდახმარებით, მორალური ურთიერთპასუხისმგებლობით და სულიერ-ზნეობრივი ურთიერთმხარდაჭერით. ეს კავშირები ხასიათდება განსაკუთრებული სიფაქიზით, მგრძნობელობით, მოწყვლადობით. ამიტომაც ოჯახის მიერ მიღებული ყოველი კომპრომისული გადაწყვეტილება სულიერ-ზნეობრივი თვალსაზრისით აკნინებს მის სიმტკიცეს, ღირებულებასა და სიწმინდეს. ამგვარ როლს, ცხადია, ასრულებს ნათესაური კავშირების სუროგატული აღრევის აღწერილი შემთხვევები.

**VII ტიპი** – ცალკე უნდა აღიწეროს ოჯახები, სადაც “სუროგატული” ბავშვ(ებ)ი დედის, ან მამის ან ორივე მშობლის გარდაცვალების შემდეგ ჩნდება. ეს გლობალურად საშიში და პროგნოზულად კატასტროფული ბიოტექნოლოგიური სოციალური ფენომენია, რომელიც გულისხმობს მშობლებისა და შვილების (უფრო ფართოდ – სუროგაციაში მონაწილე ადამიანების) თაობებს შორის ონტოლოგიურად არსებული ბუნებრივი დროითი და სივრცობრივი წონასწორობის დარღვევას.

რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს კაცობრიობა ამ ფენომენის მასშტაბურობის გაზრდამ? ჩვენი აზრით, ზუსტად ამის განსაზღვრა მეცნიერებას არ შეუძლია. საჭიროა მეცნიერული აზრის მიმართვა ამ პრობლემის ტრანსდისციპლინური კვლევისაკენ, მიღებული შედეგების სხვადასხვა გენეზის ცოდნათა სინთეზზე დაფუძნებული შესწავლა, საღი აზრის თვალსაჩინოებისა და მისტიკურ-საკრალური განზომილების გათვალისწინება.

**VIII ტიპი** – ამ ტიპს განეკუთვნება იმგვარი ოჯახი, რომლის წევრებსაც აქვს სუროგატულ რეპროდუქციულ ტექნოლოგიაში მონაწილეობის გამოცდილება:

- ოჯახის ერთი ან მეტი წევრი ერთხელ ან მეტჯერ ყოფილა დაქირავებული ე. წ. “სუროგატ” დედად;
- ოჯახის წევრ(ებ)ს აქვს სასქესო გამეტების დონაციის გამოცდილება;

- ოჯახის წევრ(ებ)ს აქვთ სუროგაციული ტექნოლოგიისადმი აქტიური პოზიტიური განწყობა, რაც გამოიხატება ამ იდეის პროპაგანდაში ან აქვთ სუროგაციის ცენტრებთან თანამშრომლობის სხვა გამოცდილება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ თანამედროვე კაცობრიობა ამკვიდრებს ახალ, ჩვენ მიერ სუროგატულად წოდებულ ოჯახურ პარადიგმას, რომლის ოდენ ზოგიერთი კონცეპტუალური იდეა გავაჟღერეთ წარმოდგენილ ნაშრომში.